ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2008 წელს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების პროექტის შესაბამისად (იხ.: www.tsu.ge/qa/statute.htm), ENQA-ს (European Network of Quality Assuarance – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივცრეში" (იხ.: www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf) მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2008 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

I. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
II. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
III. სილაბუსის შეფასების არსებული ფორმისა და კრიტერიუმების მოდიფიკაცია, საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმისა და ინსტრუქციის შემუშავება;
IV. საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული უმაღლესი, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების) შიდა საუნივერსიტეტო შეფასება;
V. სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარის შემუშავება;
VI. სტუდენტთა გამოკითხვა;
VII. ტრენინგების სემინარების, კონფერენციების ორგანიზება;
VIII. მონაწილეობა ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვაში;
IX. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში;
X. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
XI. სტუდენტთა მობილობისთვის ხელის შეწყობა;
XII. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება;
XIII. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება;
XIV. პასუხი შემოსულ კორესპონდენციებზე.

I აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა აკადემიური საბჭოს შემდეგი დადგენილებები:

- საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (27. 02. 08, დადგენილება № 82), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d82.asp
- 2008 წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში შემსვლელთათვის უცხო ენაში ტესტირების შედეგად მიღებული გამსვლელი ქულის შესახებ (27. 02. 08, დადგენილება № 83), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d83.asp
- თსუ სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების შესახებ (14. 07. 08, დადგენილება № 95), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d95-08.asp (2008-2009 წლის შემოდგომის სემესტრისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შიდა შეფასების საფუძველზე ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაუწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 101 სამაგისტრო პროგრამა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 31, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 39, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 11, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 11, იურიდიული ფაკულტეტი – 4, მედიცინის ფაკულტეტი – 4, ინტერფაკულტატური – 1).
- პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (14. 07. 08, დადგენილება № 96), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d96-08.asp
- დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების შესახებ (14. 07. 08, დადგენილება № 100), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d100-08.asp
- 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სადოქტორო პროგრამებისა და 2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ვადებთან დაკავშირებით (30. 07. 08, დადგენილება № 106), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d106-08.asp
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში არჩევითი საგნების რაოდენობასთან დაკავშირებით (30. 07. 08, დადგენილება № 107), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d107-08.asp
- პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ (30. 07. 08, დადგენილება № 113), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d113-08.asp
- 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სადოქტორო პროგრამები (დადგენილება № 142; 07.09.08);, იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d142-08.asp
- 2009-2010 სასწავლო წლის პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დადგენილება № 143; 07.10.08), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d143-08.asp.

II. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება

2008 წელს უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა შემდეგი დოკუმენტების სამუშაო ვერსიები:

- შიდა საუნივერსიტეტო პროექტის "სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია" საკოორდინაციო საბჭოს მოთხოვნები თსუ სასწავლო პროგრამების მოდიფიკაციასთან დაკავშირებით. იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/modification-guidelines.pdf
- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსულ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი. იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/credit-recognition-draft.pdf
- თსუ სტუდენტების მიერ გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უცხოეთის უნივერსიტეტებში დაგროვილი კრედიტების აღიარების წესი;
- საბაკალავრო პროგრამის მომზადების ინსტრუქცია. იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/BA-INSTRUCTION-2008-draft-last.pdf
- თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქცია. იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/171%20(2).pdf

III. სილაბუსის შეფასების არსებული ფორმისა და კრიტერიუმების მოდიფიკაცია, საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოდიფიცირდა სილაბუსის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები. იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/syllabusevaluation2008.pdf
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები. იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/BA-evaluation-form-criteria-qa.doc

IV. სასწავლო პროგრამების (პროფესიული უმაღლესი, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების) შიდა საუნივერსიტეტო შეფასება

- ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა და წევრებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, მოახდინეს სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება. თითოეული სასწავლო პროგრამის შეფასების შევსებული და კომენტირებული ფორმები ინახება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

- 2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მიერ შეფასდა, ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაეწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 101 სამაგისტრო პროგრამა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 31, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 39, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 11, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 11, იურიდიული ფაკულტეტი – 4, მედიცინის ფაკულტეტი – 4, ინტერფაკულტატური – 1).
- თსუ აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარედგინა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში თსუ-ში ამჟამად მოქმედი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შეფასებასთან და არსებული პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით (იხ. მოხსენებითი ბარათები № 13489/02, № 13487/02).
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ორგანიზება გაუწია სოხუმის უნივერსიტეტის 16 სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ ექსპერტიზას, ხოლო ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა და წევრებმა.
- 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მიერ შეფასდა, ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაეწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 59 ახალი და 49 ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა და 1 პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. სამაგისტრო პროგრამები გადაეცა აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად იანვარში.

V. სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარის შემუშავება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. ნინო ჯავახიშვილმა, ფსიქოლოგიის მიმართულების აკადემიურ პერსონალთან და სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორ ნინო დურგლიშვილთან თანამშრომლობით მოამზადა სტუდენტთა გამოკითხვის ახალი კითხვარი. იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/kitxvari_08.pdf

VI. სტუდენტთა გამოკითხვა

2008 წელს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მონაწილეობით ორჯერ ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა პროფესორების მიერ ჩატარებულ ლექცია-სემინარებთან დაკავშირებით (გამოკითხვა ეხებოდა ექვსივე ფაკულტეტების ასოცირებულ, სრულ და ასისტენტ პროფესორების მიერ ჩატარებულ სალექციო კურსებს). კითხვარების ანალიზის შედეგები წარედგინა თსუ აკადემიურ საბჭოს განსახილველად. იხ.: მოხსენებითი ბარათი № 13493/02. იხ. აგრეთვე: http://www.tsu.ge/qa/doc/studentebis-gamokitxva-2007-2008.pdf

VII. ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება

თარიღი	ტრენინგის (საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაციის) თემა	ტრენერი	სამიზნე ჯგუფი	დაფინანსების წყარო
20 მაისი,	სწავლის შედეგები იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/workshop-learning-outcomes.pdf	ი. დარჩია	თსუ აკადემიური პერსონალი	——
15-30 სექტემბერი,	spss პროგრამა	თსუ სრული პროფ. ნ. ჯავახიშვილი	ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები	------

თარიღი	სემინარი	მომხსენებელი	მონაწილეები
24 დეკემბერი	სამაგისტრო პროგრამის "ბუნებრივი ენის ლოგიკა და გამოთვლითი ენათმეცნიერება" საჯარო განხილვა	კ. ფხაკაძე	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები, თსუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვა დაინტერესებული პირები

თარიღი	საკონსულტაციო შეხვედრა	ორგანიზატორი	მონაწილეები
25 დეკემბერი	"მასწავლებელთა გადამზადების პროგრამების მომზადება"	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

			წევრები, მასწავლებელთა გადამზადების პროგრამების ხელმძღვანელები

თარიღი	კონფერენციის თემა	კონფერენციის მონაწილენი	კონფერენციის შედეგი
28 თებერვალი	საკომუნიკაციო უნარების განვითარება საუნივერსიტეტო კურიკულუმში: აკადემიური წერა იხ.: http://www.tsu.ge/docs/conference-academic.pdf	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	სამუშაო ჯგუფის შექმნა აკადემიური წერის სწავლების საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტის შესამუშავებლად

VIII. მონაწილეობა ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვაში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა დაწყებითი განათლების, ელექტრონიკისა და გამოყენებითი ბიოლოგიის ახალი საბაკალავრო პროგრამების ფორმირების პროცესში.

IX. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში

სახელი, გვარი	თარიღი	ქვეყანა	ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	მივლინების შედეგი
ირინე დარჩია	28 მარტი-9 აპრილი, 2008	ნორვეგია	ნორვეგიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (NOKUT) ოსლოსა და ბერგენის უნივერსიტეტები	ნორვეგიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (NOKUT)	საჯარო ლექციები, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს, ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის შემუშავება

	14-27 აპრილი, 2008	ავსტრია	ინსბრუკისა და ვენის უნივერსიტეტები, ავსტრიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო	TACIS	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სრულყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების სრულყოფა
	12-19 ივნისი, 2008	საბერძნეთი	საბერძნეთის პარლამენტი, ქალაქ ვოლოსის მერია, საბერძნეთის ეროვნული განათლებისა და რელიგიის სამინისტრო	საბერძნეთის პარლამენტი, ქალაქ ვოლოსის მერია	მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე, პუბლიკაცია კონფერენციის მასალებში, ძველ ბერძნულ ენაში მოსწავლეთა საერთაშორისო კონკურსის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება
	2 სექტემბერი, 2008	საბერძნეთი	საბერძნეთის რესპუბლიკის ეროვნული განათლებისა და რელიგიის სამინისტრო	საბერძნეთის რესპუბლიკა	საერთაშორისო კონფერენცია "ძველი ბერძნული ენის სწავლება ევროპაში, მოხსენება: "ძველი ბერძნული ენის სწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (არსებული მდგომარეობა,

					პრობლემები და პერსპექტივები)”
	27-28 ნოემბერი, 2008	საქართველო	თსუ	----------	ბოლონიის სემინარი: “ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოების მიმართება ევროპულთან: თვითსერტიფიცირების პრინციპები, სამუშაო ჯგუფის სპიკერი (chairman)
ანასტასია ზაქარიაძე	1-7 ივლისი, 2008	რუმინეთი	ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტი	თსუ და ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტის თანადაფინანსებით	მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე, დაიგეგმა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ”რელიგიისა და სამართლის ფილოსოფია”
თინათინ ბოლქვაძე	აპრილი, 2008	აშშ	კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საქართველოს კვლევის საერთაშორისო ცენტრის დაფუძნება
	ივლისი-აგვისტო, 2008	ინგლისი	როეჰემპტონის უნივერსიტეტი	როეჰემპტონის უნივერსიტეტი	საერთაშორისო სოციოლინგვისტურ საზაფხულო სკოლაში ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი დაგეგმვის თანამედროვე მიდგომების გაცნობა და ათვისება
ია ნაცვლიშვილი	11-16 ივნისი, 2008	ბელგია, ჰოლანდია	გრონინგენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) თუნინგის პროექტი	ევროკომისია	თსუ ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო პროგრამების, ხარისხის

					უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა,
	14-27 აპრილი, 2008	ავსტრია	ინსბრუკისა და ვენის უნივერსიტეტები	TACIS	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სრულყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება
ნინო ჯავახიშვილი	11-15 თებერვალი, 2008	უნგრეთი	ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი	ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი	გენდერის სამაგისტრო პროგრამის განვითარება
	29 ივნისი-12 ივლისი	უნგრეთი	ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი	ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი	გენდერის სამაგისტრო პროგრამის განვითარება
	20-25 აპრილი, 2008	ბელგია, ჰოლანდია	გრონინგენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) თუნინგის პროექტი	TACIS	განათლების მეცნიერებების სასწავლო პროგრამების სრულყოფა
	11-15 ივნისი, 2008	ბელგია, ჰოლანდია	გრონინგენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) თუნინგის პროექტი	TACIS	განათლების მეცნიერებების სასწავლო პროგრამების სრულყოფა
გურამ ქუთელია	20-25 აპრილი, 2008	ბელგია, ჰოლანდია	გრონინგენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) თუნინგის პროექტი	TACIS	გეოლოგიის სასწავლო პროგრამების სრულყოფა
ნანა შათაშვილი	20-25 აპრილი, 2008	ბელგია, ჰოლანდია	გრონინგენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) თუნინგის პროექტი	TACIS	ფიზიკის სასწავლო პროგრამების სრულყოფა
	13-26 ივლისი,	იტალია	თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი,	ASICTPP, Trieste Associate Scheme;	Workshop-ში მონაწილეობა,

	2008		ტრიესტე	GNSF საგრანტო პროექტი 69/07	სამეცნიერო ნაშრომი
	25 აგვისტო-4 სექტემბერი	იტალია	თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი, ტრიესტე	ASICTPP, Trieste Associate Scheme; GNSF საგრანტო პროექტი 69/07	სამეცნიერო ნაშრომი
ბესო კალანდაძე	9-13 აპრილი, 2008	უკრაინა	IFOAM-ის მსოფლიო კონგრესი	IFOAM	საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა
	9-16 მაისი, 2008	გერმანია	აგრობიომრავალფეროვნების მსოფლიო კონგრესი	WECF	მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე
	31 მაისი-8 ივნისი, 2008	გერმანია	WECF	WECF	ტრენინგი, სამეცნიერო ნაშრომი
ნინო ჩიხლაძე	9-16 თებერვალი	გერმანია	ბოხუმის უნივერსიტეტი	ბოხუმის უნივერსიტეტი	კლინიკური ეთიკის კომიტეტის ჩამოყალიბება
	24-31 მარტი	თურქეთი	ადანას უნივერსიტეტი	ადანას უნივერსიტეტი	მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე
	20-24 აპრილი, 2008	ბელგია, ჰოლანდია	გრონინგენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) თუნინგის პროექტი	TACIS	საქართო საქმის სასწავლო პროგრამების სრულყოფა
	24-26 აპრილი	მაროკო	მაროკოს განათლების ასოციაცია	მაროკოს განათლების ასოციაცია	მოხსენება საერთაშორისო კონგრესზე
	18-23 მაისი	ესტონეთი	ტარტუს უნივერსიტეტი	ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ტარტუს უნივერსიტეტი	ერთობლივი კვლევითი პროექტის განხორციელება, საჯარო ლექცია
	24-30 მაისი	შვეიცარია	ჯანმრთელობის დაცვის ფორუმი	ჯანმრთელობის დაცვის ფორუმი	მოხსენება საერთაშორისო ფორუმზე
	11-15 ივნისი,	ბელგია,	გრონინგენის უნივერსიტეტი	TACIS	საქართო საქმის

	2008	ჰოლანდია	(ჰოლანდია) თუნინგის პროექტი		სასწავლო პროგრამების სრულყოფა
გოჩა მამულაშვილი	16-25 ივნისი	გერმანია	იენის უნივერსიტეტი	"ფოლკსვაგენი"	თანამედროვე სახელმძღვანელოს შემუშავება სისხლის სამართალში

X. საქართველოსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

2008 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარსადგენად მოამზადა შემდეგი დოკუმენტაცია:

- 2008 წლის 15 ოქტომბერს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრში წარადგინა უმაღლესი პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა "სახვითი ხელოვნება". სულ წარდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა 116 გვერდს (წერილი № 1104/01-02-03-05, 15.10.08).
- 2008 წლის 17 ოქტომბერს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტში, რომელიც ატარებს საქართველოში ბოლონიის პროცესის მიმდინარეობის კვლევას, წარადგინა სპეციალური შევსებული კითხვარი (სულ 22 გვერდი; წერილი №1013/01-01-08-05, 17.10.08).
- 2008 წლის 17 ნოემბერს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტაცია მოიცავდა ზოგად ინფორმაციას თსუ-ს შესახებ, ინფორმაციას მატერიალური რესურსების შესახებ (ფართი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერები), საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსების (აკადემიური/მასწავლებლების პერსონალი, სტუდენტები). სულ წარდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა 7 ბაინდერს, 3233 გვერდს (წერილი № 1101/01-01-03-05, 17.11.2008).
- 2008 წლის 22 დეკემბერს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრში წარადგინა მასწავლებლის პროფესიული განვითარების 6 საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ქართულის როგორც მშობლიური ენის სწავლება, გერმანული ენა და გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა, მასწავლებლის პროფესიული უნარები), რომლებსაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2009 წლის თებერვალში სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილებით. სულ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა 192 გვერდს (წერილი № 1173/01-02-03-05, 22.12.08).

XI. სტუდენტთა მობილობისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობისთვის ხელის შეწყობა

2008 წელს, კერძოდ, მარტსა და აგვისტოში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან თანამშრომლობით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ბოლონიის უნივერსიტეტთან (იტალია) და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლას, თანამშრომლობას სასწავლო და სამეცნიერო სფეროში.

XII. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება

2008 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსების კრედიტები უღიარა 26 სტუდენტს, რომლებიც სწავლობდნენ აშშ და ევროპის შემდეგ უნივერსიტეტებში: მიდელბერგის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), პარიზი 1, სორბონა (საფრანგეთი), მერზებურგის უმაღლესი სკოლა, ჰამბურგის, როსტოკის, იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის, ზაარლანდის უნივერსიტეტები (გერმანია), დასავლეთ ლონდონის ბიზნეს-კოლეჯი (ინგლისი), ორეგონის უნივერსიტეტი (აშშ), ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია).

XIII. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის და 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და წევრები მონაწილეობდნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში.

XIV. პასუხი კორესპონდენციებზე

2008 წელს გაზაფხულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შევიდა 195, ხოლო გავიდა 370 კორესპონდენცია, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებს, სასწავლო პროგრამებს, სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას, სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს და სხვ.